

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია საინჟინრო-საპროექტო მომსახურების მიწოდების არანაკლებ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება.
2. კონკურსის მიზანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის (შემდგომ – სასახლე) მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევა, კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით დამუშავებული აღდგენა-გამლიერების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სათანადო აღდგენა-გამლიერების სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების შემუშავება.
3. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სასახლისა და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის (შურფების ჩათვლით), შენობის მზიდი კარკასის კონსტრუქციების ტექნიკური (ლაბორატორიული და ექსპერიმენტალური კვლევა, მათ შორის არმატურის კოროზიის, მაღალი ტემპერატურისა და სხვა მავნე ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით) კვლევის, შენობის „C“ კორპუსის ცენტრალური ნაწილის სივრცითი მოდელის გაანგარიშების და ზემოხსენებული საძიებო-კვლევითი სამუშაოების ანალიზის საფუძველზე დამუშავებული სასახლის აღდგენა-გამლიერების პროექტის სრული კომპლექტის (მათ შორის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის ჩათვლით) და სათანადო აღდგენა-გამლიერების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების დამუშავებით გასაწევი მომსახურების მიწოდება. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 79000 (სამოცდაცხრამეტიათასი) ლარი.
5. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №: GE52BR0000010591718543	

6. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-5 ან მე-6 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება.
8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა მოქმედებდეს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
9. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია

წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2013 წლის 12 ივნისის 10:00 საათიდან და მთავრდება 2013 წლის 14 ივნისის 16:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს საკონკურსო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წამოადგინოს:

- ინფორმაცია საინჟინრო-საპროექტო მომსახურების მიწოდების არანაკლებ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების მიწოდების შესახებ (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლების წარმოდგენით);

- საკონკურსო წინადადების ფასი;

- ინფორმაცია საბოლოო პროექტის (დოკუმენტაციის) მიწოდების ვადის შესახებ;

- რეკვიზიტები;

- განმარტებითი ბარათი.

15. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს მოცემული სასახლის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის (შურფების ჩათვლით), შენობის მზიდი კარკასის კონსტრუქციების ტექნიკური კვლევის, შენობის „C“ კორპუსის ცენტრალური ნაწილის სივრცითი მოდელის გაანგარიშებისა და აღდგენა-გამლიერების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების დამუშავების კონცეფციები. განმარტებითი ბარათი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის (შურფების ჩათვლით) მომსახურების სავარაუდო მოცულობებს;

- შენობის მზიდი კარკასის კონსტრუქციების ტექნიკური კვლევის მომსახურების სავარაუდო მოცულობებს;

- შენობის „C“ კორპუსის ცენტრალური ნაწილის სივრცითი მოდელის გაანგარიშების პრინციპული სქემისა და პროგრამის აღწერილობას;

- ნაგებობის მზიდუნარიანობის უზრუნველსაყოფად ჩასატარებელი მოსალოდნელი აღდგენა-გამლიერების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სავარაუდო მეთოდებისა და საშუალებების აღწერილობას;

- საბოლოო პროექტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების სავარაუდო ვადას;

- საბოლოო პროექტით განსაზღვრული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებას.

16. შემსყიდველი საკუთარი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდების პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებში. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს საბოლოო დოკუმენტაცია სრული სახითა და მოცულობით, მ.შ. სატენდერო ტექნიკური დავალების სახით, ისე რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. საბოლოო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მთლიანი სამუშაოებისათვის საჭირო შემდეგ ინფორმაციას (ნახაზების, ცხრილების, განმარტებითი ბარათისა და სხვა სახით):

- არსებული საძირკვლების ტიპის და ზომების დადგენის მიზნით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებსა და დასკვნებს, ინფორმაციას გატარებული შურფების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ;

- მზიდი კონსტრუქციების (ლაბორატორიული და ექსპერიმენტალური კვლევა, მათ შორის არმატურის კოროზიის, მაღალი ტემპერატურისა და სხვა მავნე ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით) ტექნიკური კვლევის დასკვნებს;

- პარლამენტის სასახლის გასამლიერებელი ნაწილის სივრცითი მოდელის

დინამიკური გაანგარიშების შედეგებსა და მზიდი კონსტრუქციების კვლევის მიზნით, მონიშნულ გამოსაკვლევ კონსტრუქციებში ძაბვებისა და დეფორმაციების შედარებით ანალიზს;

- ზემოაღნიშნული საძიებო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე დამუშავებული ნაგებობის აღდგენა-გადლიერების (საჭიროების შემთხვევაში სამღებრო-სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით) მუშა პროექტის სრული კომპლექტს (მათ შორის მ.ო.პ.-ის და ხარჯთაღრიცხვის ჩათვლით);

- მოქმედი სამშენებლო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტაციას;

- აღდგენა-გადლიერების სამშენებლო-სამონტაჟო და სამღებრო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკურ დავალებას;

ყველა დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს იმ მომენტისათვის არსებული სტანდარტებისა და ნორმების სრული დაცვით, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, 79000 (სამოცდაცხრამეტიათასი) ლარი, არ განიხილება.

18. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1) წინადადების ღირებულება: კოეფიციენტი - 0.25;

2) გამოცდილება: კოეფიციენტი - 0.25;

3) აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება - 0,25;

4) აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სავარაუდო მეთოდები და საშუალებები - 0,25.

20. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

21. საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ტექნიკური და კონცეპტუალური თვალსაზრისით.

22. **გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა.**

23. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს საბოლოო დოკუმენტაციაში.

24. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. მომსახურების მიწოდების პროცესის შესახებ ინფორმაცია შემსყიდველთან განხილული უნდა იქნეს არანაკლებ კვირაში ერთხელ.

25. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად.

26. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარგათვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

27. კონკურსანტს საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე; ტელ.: (995 32) 2289081 – ზაურ ჯიოშვილი, (995 32) 2289043 – ვლადიმერ ხუციშვილი).

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის (შემდგომ – სასახლე) მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევა, კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით დამუშავებული აღდგენა-გაძლიერების მუშა პროექტის სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდებისა და სათანადო აღდგენა-გაძლიერების სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების დამუშავება-მოწოდების საპროექტო მომსახურება.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

თუ კონკურსის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ანაზღაურების გარეშე შედგება.

დაპროექტების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირად უთანხმდება შემსყიდველს.

ხელშეკრულება

ქ. -----

2013 წლის -----

ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომ – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის, ზურაბ მარაქველიძის, სახით, და, მეორე მხრივ, ----- (შემდგომ – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ----- სახით, კონკურსის საშუალებით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომ – ხელშეკრულება) შემდეგზე:

კონკურსში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის (შემდგომ – სასახლე) მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით დამუშავებული აღდგენა-გამლიერების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სათანადო აღდგენა-გამლიერების სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალება.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის მზიდი კონსტრუქციების კომპლექსური კვლევა, კვლევების საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რეკომენდაციებით დამუშავებული აღდგენა-გამლიერების სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და სათანადო აღდგენა-გამლიერების სამუშაოების შესასრულებლად გამოსაცხადებელი ტენდერის ტექნიკური დავალების შემუშავების 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ----- ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია -----.

4.2. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №8, საქართველოს პარლამენტის სასახლე.

5.2. მომსახურების მიწოდების საბოლოო თარიღია 2013 წლის -----.

6. ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ანაზღაურება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს -----.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ვადებისა პირობების შესრულების კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზისა და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.2. თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა,

ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობები გადაისინჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა დაუშვებელია.

9.4. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. ხელშეკრულების მხარე ვალდებულია ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილი არიან, დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ამოქმედდება 2013 წლის ----- და მოქმედებს 2013 წლის ----- ჩათვლით.

შემსყიდველი:

საქართველოს პარლამენტის აპარატი

მიმწოდებელი: